

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

შპს „გრინკუბი“ (ს/კ 405663438) გეგმავს მოაწყოს სათბური მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქსოვრისში. სათბურის ენერგიით(სითბოს) უზრუნველსაყოფად იგეგმება დაამონტაჟდეს ღუმელი, რომელიც გამოიყენებს მეორად ზეთებს და დიზელის საწვავს.

ვინაიდან, ზემოთ აღნიშნული საქმიანობა- ენერგიის მიღების მიზნით (სათბურის გასათბობად) მეორადი ზეთების გამოყენება, წარმოადგენს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის 10 პუნქტის 10.3. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის, მე-4 ნაწილის შესაბამისად ვითხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი N1- “დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები;

პატივისცემით,



ზაზა ტურაშვილი

შპს „გრინკუბის“ დირექტორი

საკონტაქტო პირის ტელ: 577992959; email: a.c.garemo@gmail.com

დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები

1. პროექტის მიზანი და ტექნოლოგიური სქემა: შპს „გრინკუბი“ გეგმავს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ქსოვრისში, სასათბურე მეურნეობის მოწყობას. სათბურის ექსპლუატაციის პროცესში, სათბურის გასათბობად იგეგმება ნამუშევარ ზეთებზე და დიზელის საწვავზე მომუშავე, საქვაბე დანადგარის გამოყენება.

შპს „გრინკუბის“ სასათბურე მეურნეობაში განხორციელდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების(ბოსტნეულის) მოყვანა. ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე სათბურის გასათბობად 5 თვის(150 დღე) განმავლობაში(ნოემბრი-აპრილი) იგეგმება სათბურის გასათბობად ნახმარი ზეთების გამოყენება, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ჩანაცვლდება დიზელის საწვავით.

ზემოაღნიშნული სასათბურე მეურნეობის მოწყობა დაიწყო 2024 წლის ზაფხულში. ამ ეტაპზე აგებულია სათბურის კონსტრუქცია და მიმდინარეობს შიდა მოწყობითი სამუშაოები. პროექტი ხორციელდება სოფლის მეურნეობის სააგენტოს პროგრამის ფარგლებში.

სასათბურე მეურნეობა განთავსებულია სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე ს/კ 72.01.10.140, რომლის საერთო ფართობია 49000 კვ.მ. სასათბურე მეურნეობა წარმოდგენილია სათბურის შენობისაგან, რომლის ფართობი შეადგენს 7296 კვ. მ - ს; საქვაბისაგან და საწვავის საწყობისაგან. (დანართი N1-1 - საჯარო რეესტრიდან ამონაწერი)

იმის გათვალისწინებით, რომ თხევად საწვავზე და ბუნებრივ აირზე ფასები მუდმივად იზრდება, რაც თავისთავად აისახება წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაში, კომპანიამ გადაწყვიტა ალტერნატიული საწვავის მოძიება. ბაზრის შესწავლის შედეგად ასეთ ალტერნატიულ საწვავად შერჩეული იქნა მეორადი(ნახმარი) ზეთები.

სათბურის გასათბობად ნახმარი ზეთების საწვავად გამოყენება უზრუნველყოფს საწარმოს მიერ ენერგო რესურსებზე ხარჯების ეკონომიას, ამავდროულად ხელს შეუწყობს ასეთი ნარჩენების მართვას და მოგვცემს მეორად შედეგებს, როგორცაა:

- ნარჩენების ეფექტური მართვის ხელშეწყობა;
- ბუნებრივი რესურსების დაზოგვა;
- ნახმარი ზეთების წარმომქმნელი ორგანიზაციებისათვის ამ ნარჩენის ეფექტური და ხელსაყრელი(მომგებიანი)მომშორების ხელშეწყობა;
- ნახმარი ზეთების წარმოქმნის აღრიცხვის პროცესის ლეგალიზება;
- ნაწარმოები პროდუქციის თვითღირებულების შემცირება;

ნახმარი ზეთების წვის შედეგად ენერჯის მისაღებად შერჩეული იქნა - ეკონომიური, უსაფრთხო, ეკო-მეგობრული ჩინური წარმოების, RL 190-მოდელის, 673 T1 - ტიპის

ორკამერიანი უნივერსალური ღუმელი-სანთურა, რომელსაც გააჩნია - ორსაფეხურიანი აალების სისტემა; სრულად ავტომატიზირებული ცეცხლის ალის რეგულირების სისტემა; მაღალი მგრძობელობის ფოტო უჯრედი; სამრეწველო დანიშნულების გამძლე კორპუსი. (დანართი N1-2 - დანადგარის პასპორტი) სანათური მუშაობს როგორც მეორად ზეთებზე ასევე დიზელის საწვავზე.

მაღალი ეკონომიური და ეკოლოგიური ღირებულებების გამო, ასეთი ღუმელები აქტიურად გამოიყენება სხვა ქვეყნებში. საქმიანობისას იგეგმება ყველა სახის ნახმარი ზეთების საწვავად გამოყენება გარდა პოლოქროლირებული ბიფენილებისა და პოლიქროლირებული ტრიფენილების შემცველი ნარჩენებისა. ნახმარი ზეთების შექმნა იგეგმება იმ კომპანიებისაგან, რომლებიც შესაბამისი ნებართვის საფუძველზე ახდენენ ნახმარი ზეთების შეგროვებას, გაწმენდა - რეგენერაციას.

საქმიანობის განსახორციელებლად შერჩეული ტერიტორია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთია (ს/კ 72.01.10.140). ნაკვეთზე განთავსებულია სათბურე მეურნეობა, რომელიც შედგება სათბურის შენობისაგან და რამდენიმე დამხმარე ნაგებობისაგან. (დანართი N1-3 - სიტუაციური გეგმა)

საქვებზე განთავსებულია სათბურის შენობის მიმდებარედ იზოლირებულ შენობაში. საქვებზე გააჩნია მყარი ბეტონის იატაკი. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში იგეგმება საქვებში ნახმარი ზეთებზე და დიზელზე მომუშავე ღუმელ-სანათურას დადგმა და ექსპლოატაცია.

საქვებში, რომლის ფართობი 65კვ.მეტრია, სანათურთან ერთად განთავსდება მცირე ზომის(300ლ) საწვავის ავზი, რომელიც უზრუნველყოფს სანათურასათვის საწვავის თანაბარ რეჟიმში მიწოდებას. საწვავის ავზისათვის საწვავის მიწოდება ავტომატური რეჟიმით მოხდება „დიდი“ საწვავის ავზიდან(რომელიც განთავსებული იქნება საწვავის საწყობში). საწვავის ავზი განთავსებული იქნება ლითონის მეორად შემაკავებელში. საწვავის ავარიული დაღვრის შემთხვევაში დაღვრის შესაკავებლად საქვებში მოეწყობა სითხის შემკრები სისტემა(ტრაპი), რომელიც მიერთებულია იქნება ობიექტზე არსებულ ნავთობის სეპარატორთან (ავზი) ავარიის შემთხვევაში დაღვრილი საწვავი ტრაპის გავლით შეიკრიბება ავზში და მოხდება კვლავ გამოყენება. საქვებს შესასვლელში დამატებით მოეწყობა წყალშემკრები დრენაჟი რომელიც დაერთებული იქნება გამწმენდ ნაგებობაზე (სალექარზე) რომ არ მოხდეს შემთხვევით დაღვრილი საწვავის პირდაპირი სახით ბუნებაში მოხვედრა.

საწვავის(ნახმარი ზეთები და დიზელი) შენახვა განხორციელდება საწვავის საწყობში შესაბამის რეზერვუარებში. იგეგმება 2 ერთეული მიწისზედა რეზერვუარის მონტაჟი. N1 რეზერვუარის მოცულობა იქნება 27000ლ, რომელშიც განთავსდება ნახმარი ზეთები, ხოლო N2 რეზერვუარი 1ტ- მოცულობით განკუთვნილი იქნება დიზელის საწვავისათვის. საწვავის რეზერვუარები განთავსდება ზემოდან გადახურულ, ღია ტიპის ფარდულში. სანიაღვრე

ჩამდინარე წყლების ნავთობპროდუქტებით დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით ფარდულთან მოეწყობა სადრენაჟო ფენა(დაიყრება შლამი, რომელიც დაიფარება ღორღით), მოშანდაკდება, რის შემდეგაც მოეწყობა ბეტონის საფარი, რომელზეც დაიდგმება მიწისზედა რეზერვუარები. საწვავის ავზები განთავსდება ბეტონის მეორად შემაკავებელში(ჯამში). ბეტონის ჯამის ქვეშ, ასევე შიგნით გაკეთდება ქვიშის ბალიში, რომელზეც დაიდგმება საწვავის რეზერვუარები.

რეზერვუარში საწვავის მიღება განხორციელდება ავტოცისტერნების საშუალებით. ავტოცისტერნა დაერთდება საწვავის რეზერვუარის სარქველზე, რომელიც განთავსებული იქნება რეზერვუარის თავზე. რეზერვუარზე მიერთებული იქნება საწვავის გამცემი მილი, რომლის მეშვეობით საწვავი ავტომატურად მიეწოდება საქვავებში არსებულ მცირე ავზს(რეზერვუარს).

გამათბობელ დანადგარებში საწვავის მიწოდება (ნამუშევარი ზეთი/დიზელი) იწარმოებს ტუმბოების საშუალებით, რომლებიც აღჭურვილია მექანიკური ფილტრებით. აღნიშნული ფილტრები უზრუნველყოფს საწვავის გაწმენდას მყარი მინარევებისგან, რაც ნამწვ აირებში მინიმუმამდე ამცირებს მყარი ნაწილაკების ემისიებს.

ტუმბოებში დამონტაჟებული მექანიკური ფილტრები ექვემდებარება პერიოდულ გაწმენდას. ფილტრების გასაწმენდად გამოიყენება ობიექტზე ნარჩენის სახით წარმოქმნილი ნავთობპროდუქტები, რომლებიც ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში (საწვავის რეზერვუარში).

პერიოდულად გაწმენდას ექვემდებარება ასევე სანთურებში ჩამონტაჟებული საწვავის ფილტრის ბადეები და გამათბობელი სისტემები, სადაც ადგილი აქვს ნაცრის დაგროვებას. გამათბობელ დანადგარებში წარმოქმნილი მცირე რაოდენობის ნაცარი გროვდება ნარჩენებისთვის განკუთვნილ შენობა-ნაგებობაში და შემდგომი მართვის მიზნით, ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა შესაბამის კონტრაქტორს.

საწვავის შესანახი ფარდულთან დამატებით მოეწყობა წყალშემკრები დრენაჟი და დაერთებული იქნება გამწმენდ ნაგებობაზე (სალექარზე), რომ არ მოხდეს შემთხვევით დაღვრილი საწვავის პირდაპირი სახით ბუნებაში მოხვედრა.

საწვავის შესანახი ფარდულის ტერიტორიაზე ასევე განთავსდება მეხამრიდი, რომელიც დაფარავს საწვავის რეზერვუარის და საქვავის ტერიტორიას.

ობიექტზე განთავსებულ გამათბობელ დანადგარებში წარმოქმნილი ნამწვი აირები ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა 50 მმ დიამეტრის და 15 მეტრი სიგრძის მქონე მილის საშუალებით.

დანადგარები აღჭურვილი იქნება ავარიული შეტყობინების სისტემით და გაუმართაობის შემთხვევაში ითიშება ავტომატურად. დანადგარებს სეზონურად, ექსპლუატაციაში გაშვებამდე ჩაუტარდება ტექნიკური დათვალიერება.

2. მონაცემები საწარმოს შესახებ - მოცემულია ცხრილი N1-ში

ობიექტის დასახელება	შპს „გრინკუბი“
ობიექტის მისამართი:	
ფაქტობრივი	მცხეთის რაიონი, სოფელი ქსოვრისი (ს/კ 72.01.10.140)
იურდიული	საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ზურაბ მუზაშვილის ქ., N 7, ბ. 15
საიდენტიფიკაციო კოდი	405663438
GPS კოორდინატები (UTM WGS 1984 კოორდინატთა სისტემა)	X-463000; Y- 4644700 ;
ობიექტის ხელმძღვანელი:	
გვარი, სახელი	ზაზა ტურაშვილი
ტელეფონი:	599099867
ელ-ფოსტა:	demetrashvililasha@gmail.com
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	600მ
ეკონომიკური საქმიანობის სახე	სასათბურე მეურნეობა
გამოშვებული პროდუქციის სახეობა	ბოსტნეული
საპროექტო წარამადობა	ბოსტნეული(კიტრი, პომიდორი) 50 ტ
ნედლეულის სახეობა და ხარჯი	
საწვავი სახეობა და ხარჯი	300000 ლ (285ტ) მეორადი ზეთი 100 ტ - დიზელი
სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში	150
სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში	24 სთ

3. პროექტის განხორციელების ადგილი: მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქსოვრისი;
4. დაგეგმილი საქმიანობის მიმდებარედ არსებული ობიექტები: დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორიიდან 500 მეტრზე ახლოს დასახლებული პუნტები ან საწარმოო ობიექტები არ მდებარეობს. სათბურიდან აღმოსავლეთით 500მ-ში მდებარეობს სამაცივრე მეურენობა;
5. დანადგარის განთავსების კოორდინატები: X-463051.9020 Y-4644669.8533;
6. საქმიანობის მასშტაბი: ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე სათბურის გასათბობად საჭირო იქნება 5 თვის განმავლობაში(ნოემბრი-აპრილი-დამის პერიოდში) და მის მიერ ინსინირებული იქნება დღეღამეში 1500-2000 ლიტრი ნახმარი ზეთი, რაც წლიურად 255-300000 ლიტრს შეადგენს; ასევე ალტერნატიულ საწვავად გამოყენებული იქნება დიზელი.(დიზელის და მეორადი ზეთების ხარჯი ანალოგიურია)
7. გამოყენებული დანადგარი: ნახმარი ზეთის გამოყენებით ენერჯის მისაღებად გამოყენებული იქნება ორკამერიანი უნივერსალური ღუმელი-სანთურა(მოდელი- RL 190-, ტიპი-673 T1) . ღუმელი 2 კამერიანია და მუშაობს მფრქვევანას პრინციპით. საწვავი მიეწოდება ჰაერის კომპრესორიდან მფრქვევანას მეშვეობით. დანადგარისათვის საწვავის მიწოდებამდე ხდება საწვავის(ზეთის) მექანიკური გაწმენდა ფილტრის მეშვეობით. საწვავის ფილტრი დანადგარის ნაწილია და მონტაჟდება დანადგარის სიახლოვეს მოსახერხებელ ადგილას. ფილტრი ასუფთავებს საწვავს მექანიკური მინარევებისაგან, რადგან ფრქვევანაში ამ ნაწილაკების მოხვდრა შეაფერხებს ღუმელის მუშაობას. აღნიშნული ფილტრები უზრუნველყოფს საწვავის გაწმენდას მყარი მინარევებისგან, რაც ნამწვ აირებში მინიმუმამდე ამცირებს მყარი ნაწილაკების ემისიებს. ტუმბოებში დამონტაჟებული მექანიკური ფილტრები ექვემდებარება პერიოდულ გაწმენდას). გამათბობელ დანადგარებში წარმოქმნილი მცირე რაოდენობის ნაცარი გროვდება ნარჩენებისთვის განკუთვნილ ჰერმეტიკულ კონტეინერში და შემდგომი მართვის მიზნით, ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა შესაბამის კონტრაქტორს.
გარდა ამისა ჰაერის ფილტრებით არის აღჭურვილი ფრქვევანის სანთური, რათა კომპრესორიდან მიწოდებულ ჰაერს არ შეერიოს წყლის კონდენსატი. ღუმელში ჩამონტაჟებულია დენის გამაცხელებელი, რომელიც საწვავს აცხელებს იმ ტემპერატურამდე, რომელიც საჭიროა მისი აალებისათვის. საწვავის წვა(სრული წვა) გრძელდება მეორე კამერაში, სრულ დაშლამდე.
ღუმელში ყველა პროცესი იმართება ავტომატურად, რომელიც მიიღწევა საჭირო ოპერაციული პარამეტრების დაყენებით, რის შემდეგ დანადგარის კონტროლის განყოფილება ამუშავებს საწვავის დამუშავების ალგორითმს, იწყებს საწვავის გათბობას, მიწოდებას და ღუმელის მუშაობის მართვას. ღუმელი აღჭურვილია ავარიული შეტყობინების სისტემით და გაუმართაობის შემთხვევაში ითიშება ავტომატურად.

დანადგარებს სეზონურად, ექსპლუატაციაში გაშვებამდე ჩაუტარდება ტექნიკური დათვალიერება

სათბურში საჭირო ტემპერატურის მისაღწევად ესაჭიროება 1400კვტ/სთ ენერგია. რის მისაღებადაც ღუმელს ესაჭიროება საათში 170 ლ თხევადი საწვავი(მეორადი ზეთი/დიზელი).

დანადგარის ტექნიკური მახასიათებლები და გაფრქვევის პარამეტრები:

1. გათბობის მაქსიმალური მაჩვენებელი - 2000000,000 კვალ / სთ-ში
 2. სიმძლავრე - 1400კვტ.
 3. ზეთის მოხმარება - 170 ლიტრი / სთ
 4. სამუშაო წნევა - 3 ბარი
 5. ელ. ენერგია - 380 ვ და 50 ჰც ;
 6. საქშენი - სპილენძის სიფონი 222მმ დიამეტრი
 7. ზომა - 1000 X 660 X 660 მმ
 8. წონა - 120 კგ
 9. საწვავი - ყველა ტიპის გადამუშავებული ზეთი, დიზელის საწვავი;
 10. შემადგენელი დანადგარები - 5 ტ ქვაბი, ღუმელი, რეაქტორი, საშრობი
 11. აგრეგატის ხმაურის დონე - 83,9 დცბ;
 12. დანადგარის გაფრქვევის წყაროს პარამეტრები - სიმაღლე 8 მ; კვეთის დიამეტრი -400 მმ;
 13. აირმტვერნარევის პარამეტრები გაფრქვევის წყაროს გამოსავალთან - წრფივი სიჩქარე - 1,7მ/წმ;
 14. მოცულობითი სიჩქარე -0,214 მ³/წმ;
 15. ტემპერატურა - 87 გრადუსი;
- 8. გამოყენებული საწვავი:** ღუმელში საწვავად გამოყენებული იქნება ნახშიარი ზეთები. წლიურად მაქსიმუმ 300000 ლიტრი. 1 მ³ ზეთის მასა ტოლია 0,9-0,95 ტონისა. წლიურად სათბურის გასათბობად გამოყენებული იქნება 285 ტ ნახშიარი ზეთი და 100ტ დიზელი.
- 9. ინფორმაცია საწარმოს საწვავით უზრუნველყოფის და საწვავის შენახვის პირობები** -საწვავის (ნამუშევარი ზეთი) შესანახად საწარმო გამოიყენებს ჰერმეტიულად დახურულ რეზერვუარს რომლის მოცულობა იქნება 27 მ³-ს. საწვავის ავზი განთავსდება ზემოდან გადახურულ შენობაში. განთავსების ადგილი მობეტონებული იქნება და ზეთების შემთხვევითი დაღვრის შემთხვევებისთვის აღიჭურვება შემკრები სისტემით, რომელიც მიერთება ობიექტზე არსებულ ნავთობის სეპარატორთან. გარდა ამისა, ობიექტზე იგეგმება საწვავის რეზერვუარის განთავსებისთვის განკუთვნილი ტერიტორია აღიჭურვოს მეორადი შემაკავებლით და რეზერვუარის გარშემო მოეწყოს დაახლოებით 0,5მ სიმაღლის ბარიერი (კედელი). ღუმელისათვის რეზერვუარიდან საწვავის მიწოდება მოხდება ტუმბოს მეშვეობით. როგორც ზემოთ აღინიშნა საწვავი საწარმოში შემოვა ავტოცისტერნებით ან 200 ლიტრიანი ჰერმეტიულად დახურული ავზებით. ავზებიდან საწვავის სტაციონარულ რეზერვუარში

საწვავი გადაიქაჩება ელექტრო ტუმბოს მეშვეობით. ავზები დაცლის შემდგომ უკან დაუბრუნდება შემომტანს.

10. დაშორება უახლოესი სახლიდან - 482 მ;

11. მანძილი უახლოესი საწარმოო ობიექტიდან - 520 მ;

12. საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება:

მიმდებარე ტერიტორიაზე სხვა ისეთი ობიექტები არ არსებობს, რომლებთან ერთად სათბურის(საქვების) ფუნქციონირება გამოიწვევს კუმულაციური ზემოქმედებას. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

13. ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება:

- ნიადაგი და გრუნტის ხარისხი - საქმიანობის განსახორციელებლად შერჩეული ტერიტორია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთია(ს/კ 72.01.10.140) ნაკვეთზე უკვე განთავსებულია სათბურე მეურნეობა, რომელიც შედგება სასათბურე შენობისაგან და რამდენიმე დამხმარე ნაგებობისაგან. მათ შორისაა საქვაბე და საწვავის საწყობი. (დანართი N1-4 - გენგეგმა)

საქვებზე შენობაში ნახმარ ზეთებზე მომუშავე ღუმელის, საწვავის მცირე ავზის და საწვავის რეზერვუარის შეტანა(დადგმა) არ არის დაკავშირებული მიწის სამუშაოებთან. გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან ზემოქმედება ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე მოსალოდნელი არ არის.

- წყლის რესურსები

საქვების ფუნქციონირებისას წყლის რესურსების გამოყენება არ იგეგმება. რაც შეეხება სათბურისათვის მოსარწყავად გამოყენებული საწარმო მოიხმარს სოფლის არსებული სარწყავი სისტემიდან აღებულ წყალს, ხოლო საყოფაცხოვრობო დანიშნულებით იყენებს სოფლის ცენტრალური წყალმომარაგების სისტემიდან მიღებულ წყალს.

საწარმოო ჩამდინარე წყლები - პროექტის განხორციელებისას საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის.

სანიაღვრე ჩამდინარე წყლები- საქვაბე და საწვავის განთავსების(საწყობი) შენობები ზემოდან გადახურული, ბეტონის იატაკის მქონე კაპიტალური შენობებია. საწვავის სპეციალური ცისტერნებით. შემოტანილი საწვავი განთავსდება საწყობში. საწვავის ავარიული დაღვრის შემთხვევაში დაღვრის შესაკავებლად საწყობში და საქვაბეში მოეწყობა სითხის შემკრები სისტემა(ტრაპი) რომელიც დაუკავშირდება შედარებით ქვედა დონეზე მყოფ აუზს, სადაც ჩადგმული იქნება საწვავის შესაკრები ავზი(კასრი). ავარიის შემთხვევაში დაღვრილი საწვავი ტრაპის გავლით შეიკრიბება ავზში და მოხდება კვლავ მოყენება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სანიაღვრე წყლების დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლები: ასეთი წყლების შესაგროვებლად მოწყობილია წყალგაუმტარი ორმო, (ნახმარი წყლების წყალშემკრები ავზი/რეზერვუარი), საიდან საჭიროებიდან გამომდინარე ხდება ამ წყლების გატანა და შესაბამისი ნებართვის საფუძველზე ქ. მცხეთის გამწმენდ ნაგებობაში ჩაშვება.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, წყლის გარემოზე ზემოქმედების რისკი შეიძლება შეფასდეს, როგორც დაბალი ხარისხის ზემოქმედება.

- **დაცული ტერიტორიები** - პროექტის განხორციელების სიახლოვეს დაცული ტერიტორიები არ არსებობს
- **ბიომრავალფეროვნება**- პროექტის განხორციელება არ ითვალისწინებს მცენარეულ საფარზე და ცოცხალ ორგანიზმებზე ზემოქმედებას.
- **კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები** -პროექტის განხორციელების მიმდებარე ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება - ღუმელის ექსპლოატაციისას მისი ტექნიკური მონაცემებიდან გამომდინარე, ასევე ღუმელის მიერ მოხმარებული ნახმარი ზეთის მოცულობის სიმცირის გამო ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. კერძოდ, საწარმოს საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა ნახშირეჟალბადები, აზოტის დიოქსიდი, ნახშირჟანგი, მყარი ნაწილაკები, ტყვია, გოგირდის ოქსიდები, კადმიუმი, დარისხანი, ქრომი და ნიკელი.

ცხრილი N1-ში წარმოდგენილია ამ ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის სიდიდეები.

ცხრილი 3.1

კოდი	მავნე ნივთიერებათა დასახელება	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია, მგ/მ ³		მავნე ნივთიერებათა საშიშროების კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო სადღეღამისო	
0314	დიზელის ორთქლი	5	-	4
0328	მყარი ნაწილაკები	0,15	0,05	3
0337	ნახშირჟანგი	5	3	4
0301	აზოტის დიოქსიდი	0,2	0,04	2
0184	ტყვია	0,001	0,0003	1
0330	გოგირდის ოქსიდები, SO _x	0,35	0,05	3
0133	კადმიუმი	-	0,0003	1
0325	დარიშხანი	-	0,0003	2
0203	ქრომი	-	0,015	1
0164	ნიკელი	-	0,001	2

საწარმოში ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი წყაროებია:

- ნახმარი ზეთების რეზერვუარიდან(გ-1);
- დიზელის რეზერვუარიდან(გ-2)
- ღუმელი სანათურის საკვამლე მილი (გ-3);

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების რაოდენობათა ანგარიში

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მტვრის რაოდენობის ანგარიში ხორციელდება დარგობრივი მეთოდების საფუძველზე საანგარიშო მეთოდების გამოყენებით(4, 6). ანგარიში შესრულებულია საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებისათვის.

საწარმოდან გაფრქვეული ჰაერის ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებებია: ჭვარტლი, ნახშირწყალბადები, აზოტის ორჟანგი, ნახშირორჟანგი, გოგირდის ორჟანგი, ქლორწყალბადი, ტყვია, კადმიუმი, დარიშხანი, ქლორი, ნიკელი, ქსილოლი, ეთილის სპირტი, ეთილაცეტატი და უაიტ-სპირტი. ანგარიში შესრულებულია საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებისათვის საანგარიშო მეთოდების და საწარმოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით.

გაფრქვევები დიზელის საწვავის მიღება-შენახვისას(გ-1)

1 ლიტრი დიზელის საწვავისათვის მიღებისას და გადაცემისას ატმოსფეროში გაიფრქვევა 0,0025 გ ნახშირწყალბადები. სასათბურე მეურნეობაში წლიურად მაქსიმუმ გამოყენებული იქნება 100ტ(125000ლ) დიზელი.

აქედან გამომდინარე წლის განმავლობაში დიზელის მიღება-გადაცემისას მიერ გაფრქვეული ნახშირწყალბადების წლიური რაოდენობა ტოლი იქნება:

დიზელის საწვავისათვის:

$$G_{\text{ნახმ}} = 125000 \times 0,0025 / 10^6 = 0,000312 \text{ ტ/წელი}$$

$$M_{\text{ნახმ}} = 0,000312 \times 10^6 / 1500 / 3600 = 0,000058 \text{ გ/წმ}$$

გაფრქვევები ნახმარი(მეორადი) ზეთების მიღება-შენახვისას(გ-2)

რეზერვუარებიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ორთქლის გაფრქვევების გასაანგარიშებლად გამოიყენება შემდეგი ფორმულები:

$$M = Y1 \times K_{\text{max}} \times Q_{\text{max}} / 3600 \quad (1)$$

$$G = (Y2 \times B \times Y3 \times B) \times K_{\text{max}} \times 10^{-6} + G \times K \times N \quad (2)$$

ფორმულებში (1 – 2) გამოყენებულია შემდეგი აღნიშვნები:

M – მავნე ნივთიერებათა ატმოსფეროში გაფრქვევის მაქსიმალური სიმძლავრეა, გ/წმ;

G – მავნე ნივთიერებათა ატმოსფეროში გაფრქვევის წლიური რაოდენობა მ³/წელ.

Y1 – რეზერვუარში ნავთობპროდუქტების ორთქლის კონცენტრაცია, გ/მ³, რომელიც შემოდგომა ზამთრის პერიოდისათვის შეადგენს 0,39-ს;

K_{max}- ცდით მიღებული კოეფიციენტია და მიწისზედა რეზერვუარებისათვის არ არის დამოკიდებული ნავთობპროდუქტების კატეგორიასა და რეზერვუარების მოცულობაზე და უდრის 1-ს;

Q_{max}- რეზერვუარებიდან გამოდენილი აირნარევის მაქსიმალური მოცულობა ერთ საათში, მ³/სთ.;

Y1 და Y2 – რეზერვუარებიდან საშუალო ხვედრითი გაფრქვევებია. შესაბამისად შემოდგომა- ზამთრის პერიოდისათვის შეადგენს -0,25-ს;

G – ერთი რეზერვუარიდან ნავთობპროდუქტების გაფრქვევის მნიშვნელობაა მათი შენახვის დროს, ტ/წელ;

K- საცდელი კოეფიციენტია და ტოლია 0,00027 -ის;

N -ერთი დანიშნულების რეზერვუარების რაოდენობაა ცალებში.

წლის განმავლობაში რეზერვუარებში ჩატვირთული ნავთობპროდუქტების რაოდენობაა- 300მ³ ;

საწარმოს საავტომობილო ნახმარი ზეთების მიღებისათვის გააჩნია ერთი 27 მ³-ის მიწისზედა რეზერვუარი. აქედან გამომდინარე

ნავთობპროდუქტების კატეგორია, რომელიც მიიღება რეზერვუარებში, განეკუთვნება “A” კლასს, ე.ი. მასში განთავსებული ნავთობპროდუქტების ტემპერატურა არ განსხვავდება ატმოსფერული ჰაერის ტემპერატურისაგან 30°C-ზე მეტად. რეზერვუარებში ჩასასხმელი ნავთობპროდუქტების რაოდენობა წლის განმავლობაში შეადგენს 285ტ. ტუმბოს წარმადობა უდრის 16 მ³/სთ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ფორმულებში (1 და 2) - ში ჩასმის შემდეგ გვექნება:

$$M = 0.39 \times 1.00 \times 16 / 3600 = 0.00173 \text{ გ/წმ.}$$

$$G = (0.25 \times 21.6 + 0.25 \times 21.6) \times 1.00 \times 10^{-6} + 0.18 \times 0.00173 \times 1 = 0.000011 + 0.000049 = 0.00006 \text{ ტ/წელ}$$

აქედან ბუნებრივი დანაკარგი (აორთქლება შენახვისას) ზეთის რეზერვუარიდან ტოლია 0.000049 ტ/წელ. მაშასადამე გაფრქვევის ინტენსივობა ტოლი იქნება:

$$M = 0.000049 \times 10^6 / (3600 \times 8760) = 0.0000016 \text{ გ/წმ.}$$

მაშასადამე ჯამური გაფრქვევის ინტენსივობა ტოლი იქნება:

$$M = 0.00173 + 0.0000016 = 0.0017316 \text{ გ/წმ.}$$

მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ანგარიში სანათურის(დუმელის) საკვამური მილიდან ნახმარ ზეთების გამოყენებისას(გ-3)

2013 წლის 31 დეკემბერის საქართველოს მთავრობის დადგენილება N435 „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული

წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ თანახმად, ნამუშევარი ზეთების წვისას (ტ/მ³ გამოყენებულ ზეთზე) მფრქვევანიანი სათურების მქონე გამათბობლების გამოყენებისას ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა:

- ა) მყარი ნაწილაკები, (PM) -7,92*A - სადაც A - საწვავში ნაცრის მასური წილია ;
- ბ) აზოტის ოქსიდები - 1,92* 10⁻³ ტ;
- გ) ნახშირჟანგი - 0,252*10⁻³ ტ;
- დ) გოგირდის ოქსიდები (SOx)- 12,84*S, სადაც S - საწვავში გოგირდის მასური წილია
- ე) ტყვია, 6*Pb - სადაც Pb - საწვავში ტყვიის მასური წილია
- ვ) კადმიუმი -0,00144* 10⁻³ ტ
- ზ) დარიშხანი - 0,0072*10⁻³ ტ;
- თ) ქრომი - 0,0216* 10⁻³ ტ;
- ი) ნიკელი - 0,0192 * 10⁻³ ტ

თუ გავითვალისწინებთ, რომ 1მ³ ზეთი = 0.9-0,95 ტონა და ნამუშევარ ზეთში ნაცრის მაქსიმალური შემცველობა ტოლია 0.4 %-ის, ტყვიის შემცველობა 25 ppm, ხოლო გოგირდის მაქსიმალური შემცველობა 1 %, მაშინ ხვედრითი გაფრქვევის შესაბამისი მნიშვნელობები იქნება: მყარი ნაწილაკებისათვის 3,168*10⁻³ტ, ტყვიისათვის 0,015*10⁻³ტ, გოგირდის ოქსიდებისათვის 12,84* 10⁻³ტ,

შესაბამისად, წლიურად 180მ³(172ტ) ნამუშევარი ზეთების გამოყენებისას წლიურად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნივთიერებების რაოდენობა იქნება:

$$G_{\text{მყარი ნაწილაკები}} = 285 * 3,168 * 10^{-3} = 0,90288 \text{ ტ/წ}$$

$$G_{\text{NO}_2} = 285 * 1,92 * 10^{-3} \text{ ტ} = 0,5472 \text{ ტ/წ}$$

$$G_{\text{CO}} = 285 * 0,252 * 10^{-3} \text{ ტ} = 0,07188 \text{ ტ/წ}$$

$$G_{\text{გოგირდის ოქსიდები}} = 285 * 12,84 * 10^{-3} = 3,6594 \text{ ტ/წ}$$

$$G_{\text{ტყვია}} = 285 * 0,015 * 10^{-3} = 0,004275 \text{ ტ/წ}$$

$$G_{\text{კადმიუმი}} = 285 * 0,00144 * 10^{-3} \text{ ტ} = 0,0004116 \text{ ტ/წ};$$

$$G_{\text{დარიშხანი}} = 285 * 0,0072 * 10^{-3} \text{ ტ} = 0,002058 \text{ ტ/წ}$$

$$G_{\text{ქრომი}} = 285 * 0,0216 * 10^{-3} \text{ ტ} = 0,006175 \text{ ტ/წ}$$

$$G_{\text{ნიკელი}} = 285 * 0,0192 * 10^{-3} \text{ ტ} = 0,005472 \text{ ტ/წ}$$

გამომდინარე იქიდან რომ საანათური იმუშავებს დღე-ღამეში 10სთ, ხოლო წლიურად 150 დღე ხოლო წამური გაფრქვევის რაოდენობები ტოლი იქნება:

$$M_{\text{მყარი ნაწილაკები}} = 0,90288 * 10^6 / 1500 * 3600 = 0,1672 \text{ გ/წმ}$$

$$M_{NO_2}=0,5472 \cdot 10^6 / 1500 \cdot 3600 = 0,1013 \text{ გ/წმ}$$

$$M_{CO}=0,07188 \cdot 10^6 / 1500 \cdot 3600 = 0,0133 \text{ გ/წმ}$$

$$M_{\text{გოგირდის ოქსიდები}}=3,6594 \cdot 10^6 / 1500 \cdot 3600 = 0,677 \text{ გ/წმ}$$

$$M_{\text{ტყვია}}=0,004275 \cdot 10^6 / 1500 \cdot 3600 = 0,00079 \text{ გ/წმ}$$

$$M_{\text{კადმიუმი}}=0,0004116 \cdot 10^6 / 1500 \cdot 3600 = 0,000076 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{დარიზანი}} = 0,002058 \cdot 10^6 / 1500 \cdot 3600 = 0,00038 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{ქრომი}} = 0,006175 \cdot 10^6 / 1500 \cdot 3600 = 0,00114 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{ნიკელი}} = 0,005472 \cdot 10^6 / 1500 \cdot 3600 = 0,00100 \text{ გ/წმ}$$

ნახმარი ზეთების წარმოშობიდან (პირველად გამოყენების სფერო) გამომდინარე მოსალოდნელია ადგილი ქონდეს მცირე ($k \cdot 10^{-5}$ ტ) ოდენობით მყარი ნაწილაკების, გოგირდის ოქსიდების, ტყვიის, და ფენოლის გამოყოფას. ამ ნივთიერებების გამოყოფას ადგილი ექნება იმ შემთხვევაში თუ ნახმარი ზეთი პირველადი გამოყენებისას დაბინძურდა ამ ნივთიერებებით. საქმიანობის დაწყებამდე დადგინდება საწვავად გამოსაყენებელ საწვავში ამ ნივთიერებების შემცველობა (უპირატესობა მიენიჭება საწვავად დაუბინძურებელი ზეთების გამოყენებას.) და საქართველოს კანონის - „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად მომზადდება და შეთანხმდება სამინისტროსთან შესაბამისი დოკუმენტაცია (ტექნიკური რეგლამენტი), სადაც ატმოსფერულ ჰაერში მოსალოდნელ გაფრქვევათა ყველა პარამეტრი დაზუსტდება.

მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ანგარიში სანათურის (ღუმელის) საკვამური მილიდან (დიზელის გამოყენებისას)

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ღუმელის სამუშაოდ დიზელი გამოყენება მოხდება ალტერნატიულად, ნახმარ ზეთზე მომუშავე ღუმელის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევებში გამოყენებულმა დიზელის მაქსიმალური ოდენობა იქნება 100 ტ.

2013 წლის 31 დეკემბერის საქართველოს მთავრობის დადგენილება N435 „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“-ის დანართი N107-ის თანახმად,

1 ტ დიზელის საწვავის წვისას ატმოსფეროში გამოიყოფა:

ჭვარტლი (მყარი ნაწილები) – 0,00025 ტ

გოგირდოვანი ანჰიდრიდი - 0,006ტ;

აზოტის დიოქსიდი, NO₂ - 0,0034ტ;

ნახშირჟანგი, CO - 0,0139ტ;

ნახშირორჟანგი, CO₂ - 3,208 ტ;

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ღუმელში დიზელის გამოყენებისას გ-2 -დან გაფრქვეული ნივთიერებების რაოდენობა იქნება:

$$G_{\text{ჰვარტილი}} = 0,00025 \times 100 = 0,025 \text{ ტ/წელი};$$

$$G_{\text{SO}_3} = 0,006 \times 100 = 0,6 \text{ ტ/წელი}$$

$$G_{\text{NO}_2} = 0,0034 \times 100 = 0,34 \text{ ტ/წელი}$$

$$G_{\text{CO}} = 0,0139 \times 100 = 1,39 \text{ ტ/წელი};$$

$$G_{\text{CO}_2} = 3,208 \times 100 = 320,8 \text{ ტ/წელი};$$

წლიურად ღუმელში დიზელის საწვავი შესაძლოა გამოყენებული იქნას მაქსიმუმ 1000 საათი.

$$M_{\text{ჰვარტილი}} = 0,025 \times 10^6 / (1000 \times 3600) = 0,0069 \text{ გ/წმ};$$

$$M_{\text{SO}_3} = 0,06 \times 10^6 / (1000 \times 3600) = 0,017 \text{ გ/წმ}$$

$$M_{\text{NO}_2} = 0,34 \times 10^6 / (1000 \times 3600) = 0,094 \text{ გ/წმ}$$

$$M_{\text{CO}} = 0,0139 \times 10^6 / (1000 \times 3600) = 0,0038 \text{ გ/წმ}$$

$$M_{\text{CO}_2} = 3,208 \times 10^6 / (1000 \times 3600) = 0,891 \text{ გ/წმ/წელი};$$

როგორც ზემოთ მოცემული გამოთვლებით დგინდება საწარმოს მიერ საწვავად, როგორც დიზლის ასევე ნახშირი ზეთების გამოყენების შემთხვევაში გაფრქვევათა ოდენობები საქართველოს მთავრობის დადგენილება №383 - „ტექნიკური რეგლამენტი – ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“, ასევე საქართველოს მთავრობის 2018 წლის 8 ივნისის N325 დადგენილებით „ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის პირობების დამტკიცების თაობაზე“ განსაზღვრული ატმოსფერულ ჰაერში ემისიის ზღვრული მნიშვნელობებთან მიმართებაში მიზერულია, რის გამოც ამ დადგენილებებით გათვალისწინებული მოთხოვნების განხილვა არ ჩაითვალა მიზანშეწონილად.

- **ხმაურის ზემოქმედება:**

საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი ვინაიდან ღუმელის ფუნქციონირება არ რის დაკავშირებული ხმაურის წარმოქმნასთან.

14. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება :

საწარმო ფუნქციონირებით გარკვეულ წვლილს შეიტანს სოციალური პირობების გაუმჯობესებაში. საწარმოში და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ დასაქმებულთა

			მაჩვენებელი	ოპერაციები		ნობა 2022	ენობა 2023	ენობა 2024	შემდგომი მართვის მიზნით
20 03 01	შერეული მუნიციპალიტეტის ნარჩენები	არა	-	D1	მყარი	10 მ ³	10 მ ³	10 მ ³	ქ. მცხეთის დასუფთავების სამსახური. მცხეთის მუნიციპალიტეტის ნარჩენების ნაგავსაყრელი
15 02 02*	აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც დაბინძურებულია საშიში ქიმიური	დიახ	H 6	D 10	მყარი	1-2 კგ	1-2 კგ	1+2 კგ	შპს „მედიკალ ტექნოლოჯი“; ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №74; 29.12.2015

	ნივთიერე ბებით									
10 03 19*	გამონაბო ლქვი აირების მტვერი, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერე ბებს	დიახ	H 6	D 9	მყარი	5-10 კგ	5-10 კგ	5-10 კგ	შპს „სანიტარი“ გარემოზე ზემოქმედე- ბის ნებართვა N136, 11.17 2008	

17. შესაძლო ავარიული სიტუაციების აღბათობის განსაზღვრა და რისკების ანალიზი- ღუმელის განთავსების უბანი ტექნიკურად უზრუნველყოფილი იქნება ავარიების პრევენციის საშუალებებით. ამიტომ ნებისმიერი ინციდენტი საწყის სტადიაშივე აღმოიფხვრება მოწყობილობის ავარიული გამორთვის და შედეგების ლოკალიზაციით. ატმოსფერული ელექტრული მოვლენებისაგან, აგრეთვე სტატიკური დენებისაგან დაცვის მიზნით საწარმოო ობიექტზე დამონტაჟდება შესაბამისი ლითონის მეხამრიდი და ხელოვნური დამიწების კონტური. ობიექტს ლოკალური ხანძრების გაჩენის შემთხვევისათვის აღიჭურვება სპეციალური ცეცხლსაქრობი საშუალებებით. (კერძოდ შექმნილი იქნება ცეცხლმაქრები და ხანძარსაწინააღმდეგო სხვა ინვენტარი. ხანძრის აღმოცენების შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება ქ.მცხეთის სახანძრო რაზმის შესაძლებლობების გამოყენება.) ასევე დაღვრის საწინააღმდეგო საშუალებებით.(აბსორბენტებით და ა.შ.)

ობიექტის მიმდინარე საქმიანობის პროცესში მოსალოდნელი ავარიული სიტუაციებია:

- ღუმელის საწვავის ავზის დაზიანება;
- საწვავის (ზეთების) რეზერვუარის ან/და მილსადენების ავარიული დაზიანება;
- ხანძარის წარმოქმნა და გავრცელება;

ობიექტის მეპატრონე მუდმივად გააკონტროლებს ღუმელის და საწვავის ავზის მუშაობის გამართულობას. ავარიის შემთხვევაში საწარმოს მეპატრონე პირველ რიგში მოახდენს საწარმოს უბანზე ელექტროენერჯის გამორთვას, ავარიის უბნიდან თანამშრომლების გამოყვანას(ასეთების შემთხვევაში). ადამიანების რაიმე დაზიანების შემთხვევაში გამოიძახებს სასწრაფო-სამედიცინო პერსონალს და უზრუნველყოფს მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოებისათვის ყველა ზომების ჩატარებას. შემდგომ ეტაპზე განხორციელდება

ავარიული უბნის შემოსაზღვრა, კონკრეტული გეგმის შემუშავება ავარიული სიტუაციების აღმოსაფხვრელად და ღონისძიებების გატარება მათი აღმოფხვრისათვის.



შპს "ჯინჯერი ქაღალდი" საკუთრების კოდი: N 72.01.10.140

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892024304359 - 30/08/2024 16:00:53

შომხადების თარიღი
05/09/2024 17:25:03

საკუთრების განყოფილება

შონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება
მცხეთა	ქსოვისის			ნაკვეთის ღანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო
72	01	10	140	ღამუსტებული ფართობი: 49000.00 კვ.მ.
ნოსტარო: მცხეთა , ქსოვისის ; მუნიციპალიტეტი მცხეთა				ნაკვეთის წინა ნომერი:72.01.10.134; 72.01.10.139;
, სოფელი ქსოვისის				

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 892024304359 , თარიღი 30/08/2024 16:00:53
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 05/09/2024

უფლების ღამლასტურებული ლოკუმენტი:

- უძრავი ქონების ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება , ღამოწმების თარიღი:26/01/2024 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ქონების ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება , ღამოწმების თარიღი:26/01/2024 ,სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ქონების ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება , ღამოწმების თარიღი:26/01/2024 , საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრები:
შპს "ჯინჯერი" , ID ნომერი:405663438

მესაკუთრე:
შპს "ჯინჯერი"

აღწერა:

იპოთეკა

დახარბო N1-2

Burner start cycle terminated
Instrucciones de Instalaci3n, Funcionamiento y Mantenimiento
Instru73es de Instala73o, Funcionamento e Manuten73o



- GB** Light oil burner
- E** Quemadores de gas3leo
- P** Queimadores a gas3leo

Two stage operation
Funcionamiento a dos llamas
Funcionamento a duas chamas



CODE - C3DIGO	MODEL - MODELO	TYPE - TIPO
3475614	RL 190	673 T1

TECHNICAL DATA
GB



MODEL			RL 180
TYPE			673 T1
OUTPUT (1) DELIVERY (1)	2nd stage	kW	1423 - 2443
		Mcal/h	1224 - 2100
		kg/h	120 - 206
	1st stage	kW	759 - 1423
		Mcal/h	653 - 1224
		kg/h	64 - 120
FUEL			LIGHT OIL
- net calorific value		kWh/kg	11.8
		Mcal/kg	10.2 (10.200 kcal/kg)
- density		kg/dm³	0.82 - 0.85
- viscosity at 20 °C		mm²/s	max 6 (1.5 *E - 6 cSt)
OPERATION			* Intermittent (min. 1 stop in 24 hours). * Two-stage (high and low flame) and single-stage (all - nothing)
NOZZLES		number	2
STANDARD APPLICATIONS			Boilers: water, steam, diathermic oil
AMBIENT TEMPERATURE		°C	0 - 40
COMBUSTION AIR TEMPERATURE		°C max	60
ELECTRICAL SUPPLY		V	230 - 400 with neutral +/-10%
		Hz	50 - three-phase ~
ELECTRIC MOTOR		rpm	2800
		W	4500
		V	220/240 - 380/415
Running current		A	15.8 - 9.1
Start-up current		A	126 - 72.8
IGNITION TRANSFORMER		V1 - V2	230 V - 2 x 5 kV
		I1 - I2	1.9 A - 35 mA
CONTROL BOX			RMO68.53A2
PUMP J7C	delivery (at 12 bar)	kg/h	230
	pressure range	bar	10 - 21
	fuel temperature	°C max	90
ELECTRICAL POWER CONSUMPTION		W max	5870
ELECTRICAL PROTECTION			IP 44
IN CONFORMITY WITH EEC DIRECTIVES			89/336 - 73/23 - 89/392
NOISE LEVELS (2)		dBA	83.9

(1) Reference conditions: Ambient temperature 20°C - Barometric pressure 1000 mbar - Altitude 100 m a.s.l.

(2) Sound pressure measured in manufacturer's combustion laboratory, with burner operating on test boiler and at maximum rated output.

ACCESSORIE (optional):


- * **STATUS** (see page 15): code 3010322




(A)

02028

mm	A	B	C	kg
RL 190	1270	775	890	75



(B)



mm	A	B	C	D	E	F	G	H	I
RL 190	756	388	390	555	712	370	222	430	1118

(C)

BURNER DESCRIPTION (A)

- 1 Ignition electrodes
- 2 Combustion head
- 3 Screw for combustion head adjustment
- 4 Screw for fixing fan to flange
- 5 Pump
- 6 Hydraulic cylinder for regulation of the air gate valve in 1st and 2nd stage positions. When the burner is not operating the air gate valve is fully closed in order to reduce to a minimum heat dispersion from the boiler due to the flue draught which draws air from the fan suction inlet.
- 7 Air inlet to fan
- 8 Air gate valves
- 9 Fan pressure test point
- 10 Boiler mounting flange
- 11 Flame stability disk
- 12 Slide bars for opening the burner and inspecting the combustion head
- 13 Extensions for slide bars 12)
- 14 Electrical motor
- 15 Ignition transformer
- 16 Motor contactor and thermal out-out with reset button
- 17 1st stage valve
- 18 Terminal strip
- 19 Two switches:
 - one "burner off - on"
 - one for "1st - 2nd stage operation"
- 20 Fairleads for electrical connections by installer
- 21 Control box with lock-out pilot light and lock-out reset button
- 22 Flame inspection window
- 23 Photocell for flame presence control
- 24 2nd stage valve
- 25 Safety solenoid valve
- 26 Sockets for electrical connections.

Two types of burner failure may occur:

Control Box (lock-out): If the control box 22(A) pushbutton (red led) lights up, it indicates that the burner is in lock-out.

To reset, hold the pushbutton down for between 1 and 3 seconds.

Motor Stop: release by pressing the pushbutton on thermal relay 16(A).

PACKAGING - WEIGHT (B) - Approximate measurements

- The burner stands on a wooden base which can be lifted by fork-lifts. Outer dimensions of packaging are indicated in (B).
- The weight of the burner complete with packaging is indicated in Table (B).

MAX. DIMENSIONS (C) - Approximate measurements

The maximum dimensions of the burner are given in (C).

Bear in mind that inspection of the combustion head requires the burner to be opened and the rear part withdrawn on the slide bars.


The maximum dimension of the burner when open, without casing, is give in measurement I.

STANDARD EQUIPMENT

- 2 - Flexible hoses (L = 1350 mm)
- 2 - Gaskets for flexible hoses
- 2 - Nipples for flexible hoses
- 1 - Thermal insulation screen
- 4 - Extensions 13(A) for slide bars 12(A)
- 4 - Screws to secure the burner flange to the boiler: M 18 x 40
- 2 - Plugs for electrical connections
- 1 - Instruction booklet
- 1 - Spare parts list

სიტუაციური გეგმა

საკადასტრო კოდი: 72.01.10.140
ფართობი: 49000 კვ.მ




პირობითი აღნიშვნები



საკადასტრო წითელი ხაზი


WGS 84 / UTM zone 38N

მ. 1:10 000



გენგეგმა

საკადასტრო კოდი: 72.01.10.140
ფართობი: 49000 კვ.მ



- დიზელის საწვავის მიღება-შენახვა - (გ-1);
- მეორადი ზეთების მიღება-შენახვა - (გ-2);
- სანატორის საკვამური მილი - (გ-3);

WGS 84 / UTM zone 38N

8: 1:2500

